186
1969

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1969 წ.

11.168

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1969 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19. კონსტრუქტორ-მფრინავ ბ. ს. ქებურიასათვის ქ. თბილისში ძეგლის დადგმის შესახებ
20. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დაწესების შესახებ
21. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 დეკემბრის № 996 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 617 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

22. პირველი ფულადი პრემიებიანი გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების გადანაწილებისა და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

23. თვითნებურად აშენებულ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი სახლის წიგნების გაცემის შესახებ
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად გარდაქმნის შესახებ.
25. საქართველოს სს რესპუბლიკაში კარსტული მღვიმეების დაცვის, კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის შესახებ
26. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორ კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნიას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს წესდების დამტკიცების შესახებ
28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 64 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
29. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლთა და კონდუქტორთა მუშაობის რეჟიმის შესახებ
30. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ყველისა და კარაქის ქარხნებიდან მოხდილი რძის დაბრუნების ნორმების შესახებ
31. იმ ელექტროენერგიის საფასურის მიღების წესის შესახებ, რომელსაც საქართველოს სსრ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ხარჯავს
32. მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 21 იანვრის № 24 დადგენილების ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ“ ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე
34. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების მიმდინარეობის შესახებ
35. ხალხური მხატვრული სარეწების იმ ნაკეთობებისა და სუვენირების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა ტექნიკურ დოკუმენტაციას და საცალო ფასებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მხატვრულ ნაკეთობებისა და სუვენირების საწარმოების გაერთიანება
36. მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების დებულების შესახებ
37. ქ. სოხუმში თვითნებურ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები
38. მგზავრთა ცალკეული კატეგორიებისათვის საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსების მგზავრობის შეღავათების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19 კონსტრუქტორ-მფრინავ ბ. ს. ქებურიასათვის ქ. თბილისში ძეგლის დადგმის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქ. თბილისის აეროპორტის მგზავრთა პავილიონის წინ, მოედანზე დაიდგას სამამულო ჰაერნაოსნობის პიონერის კონსტრუქტორ-მფრინავის ბესარიონ სავლეს ძე ქებურიას ძეგლი.

2. ძეგლის აგება საკუთარი რესურსების ხარჯზე განახორციელოს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს უზრუნველყონ ძეგლის მაღალი მხატვრული დონე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 11 მარტი, № 131

20 მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დაწესების შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების და იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ნამუშევრების წახალისების მიზნით, რომლებსაც რესპუბლიკისათვის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები, რომლებიც მიენიჭებათ ფუნდამენტური გამოკვლევებისათვის

მეცნიერების თეორიულ და გამოყენებითს დარგებში, აგრეთვე დამთავრებული სამეცნიერო გამოკვლევებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანერგვისათვის წარმოებაში, რომლებიც დიდ ეკონომიურ ეფექტს აძლევენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

2. დაწესდეს 4 პრემია თითო 2,5 ათასი მანეთის რაოდენობით, რომელთა მინიჭება მოხდება ორ წელიწადში ერთხელ — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს.

პრემიების პირველი მიკუთვნება დაუკავშირდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დებულება, სამკერდე ნიშნის და ლაურეატის დიპლომის ესკიზები და აღწერილობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შემადგენლობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 25 მარტი, № 166

21 სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 დეკემბრის № 996 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 617 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 დეკემბრის № 996 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის) წესდებისა და მშენებლობის დაფინანსების წესების მიღებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. „კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების სამრეწველო საფუძველზე მოწყობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 სექტემბრის № 617 დადგენილების მე-9 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 დეკემბრის № 1267 დადგენილების მე-3 პუნქტით“ შეიცვალოს სიტყვებით: „მშენებლობის დაფინანსების წესების 43-ე პუნქტით“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 დეკემბრის № 996 დადგენილებით შეტანილია შემდეგი ცვლილებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებაში „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და მშენებარე საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილებასთან ერთად:

ა) 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობების და ისეთი მშენებლობების დაფინანსება, რომლებიც კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე ხორციელდება, გეგმების გადაჭარბებით შესრულების დროს უნდა ხდებოდეს ამ მშენებლობების კვარტალურ და წლიურ ასიგნებათა დამოუკიდებლად, კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია წლიური გეგმებით მოკავშირე რესპუბლიკისათვის, სსრ კავშირის საინისტროსა და უწყებისათვის“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 26.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 25 მარტი, № 167

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

22 პირველი ფულადი პრემიებიანი გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების გადანაწილებისა და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ

სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის იმ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით, რომლებიც რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა იკისრეს,

და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 3 ივნისის № 291 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს პირველი ფულადი პრემიებიანი გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების გადანაწილება რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობები, № 2 დანართის ,თანახმად.

დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს შეიმუშაონ და დაამტკიცონ, სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი პირობების შესაბამისად, რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების დაწვრილებითი პირობები ცალკეული დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობის სპეციფიკის საფუძველზე და აცნობონ ეს პირობები ქვესაუწყებო კოლექტივებს.

3. რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების ამ დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი პირობები შემოღებული იქნება სამოქმედოდ 1969 წლის პირველი კვარტალიდან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით წარმოადგინოს იმ დადგენილებათა ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 4 მარტი, № 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1969
წლის 4 მარტის № 112 დადგენილების
დანართი № 1

გადანაწილება

პირველი ფულადი პრემიებიანი გარდამავალი წითელი დროშებისა, მეორე და მესამე ფულადი პრემიებისა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს და საქ. პროფსაბჭოს დროშები პირველი ფულადი პრემიებით	სამინისტროების, უწყებების და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების დროშები პირველი ფულადი პრემიებით	მეორე პრემიები	მესამე პრემიები
1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო . . .	2	2	3	3
2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო	1	1	2	3
3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2	3	3	3
4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2	3	2	3
5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	2	4	3	2
6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისამმოშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1	2	1	1
7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო . . .	1	2	2	2
8. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	1	3	1	1
9. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	3	9	4	5
10. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1	2	1	1
11. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	1	1	1	1
12. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო . . .	1	1	1	1
13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	2	3	5	5

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს და საქ. პროფსაბჭოს დროშები პირველი ფულადი პრემიებით	სამინისტროების, უწყებების და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების დროშები პირველი ფულადი პრემიებით	მეორე პრემიები	მესამე პრემიები
14. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	2	2	3	8
15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	1	2	2	2
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1	1	1	1
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო	1	1	1	1
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველო	1	1	1	1
19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო	1	1	1	1
20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი	1	2	2	2
21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი	1	2	2	2
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი .	2	2	2	3
23. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო	1	—	—	—
ს უ ლ	32	50	44	52

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზი-
დიუმის 1969 წლის 4 მარტის № 112
დადგენილების დანართი № 2

ძირითადი პირობები

რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრებისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭებათ იმ საწარმოების ან ორგანიზაციების რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საანგარიშო კვარტალში შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

I. სამრეწველო საწარმოები

1. მოცემული ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების გეგმისა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

2. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმისა და დავალებათა შესრულება.

3. შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება.

4. ხელფასის ფონდების, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვა.

5. მოგების გეგმისა და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება.

6. ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა დროზე გადაცემა საექსპლოატაციოდ.

7. პროდუქციის ახალ სახეობათა წარმოების ათვისების და ახალი ტექნოლოგიური პროცესების, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის დავალებათა შესრულება.

8. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის დროულად შესრულება სამუშაოთა ჩინებული და კარგი ხარისხით.

9. სანაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზეგეგმითი ნაშთების დაუშვებლობა.

II. სამშენებლო ორგანიზაციები

1. სამრეწველო ობიექტებისა და საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის ვადამდე შესრულება.

2. საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის (კვადრატული მეტრობით) კვარტალური გეგმის შესრულება სამუშაოთა ჩინებული და კარგი ხარისხით.

3. სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალების შესრულება საანგარიშო კვარტალში.

4. ზეგეგმითი მოგების მიღება და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

5. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე და დამხმარე წარმოებებში დასაქმებული ერთი მუშაკის გამომუშავების გეგმის შესრულება საანგარიშო კვარტალში.

6. სამუშაოთა ძირითადი სახეობების კომპლექსური მექანიზაციის დავალებათა შესრულება და ახალი ტექნიკის დანერგვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე.

7. ხელფასის ფონდების, ნედლეულისა და საშენი მასალების მომჭირნეობით ხარჯვა.

III. სატრანსპორტო ორგანიზაციები

1. ტონობითა და ტონაკილომეტრობით ტვირთზიდვის და მგზავრთა გადაყვანის გეგმების შესრულება.

2. დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა გეგმის, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა მომსახურების სახელშეკრულებო პირობების შესრულება დაწესებულ ვადებში.

3. ტვითზიდვის ტონა-კილომეტრის თვითღირებულების შემცირების კვარტალური დავალების შესრულება.

4. ტონობითა და ტონა-კილომეტრობით ერთ სიობრივ ავტომანქანაზე გამომუშავების კვარტალური გეგმის შესრულება.

5. მოგების კვარტალური გეგმის და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

6. მექანიზაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის დავალების დროულად შესრულება.

IV. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები

1. საქონელბრუნვისა და საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

2. მოგების გეგმისა და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება.

3. საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის განვითარების, მათი სპეციალიზაციის გეგმისა და დავალებათა შესრულება, ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების პროგრესული მეთოდების დანერგვა.

4. ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის და მოსახლეობის კულტურული მომსახურების ამაღლების ეფექტიან ღონისძიებათა გატარება.

V. კინემატოგრაფიის ორგანიზაციები

1. საერთო შემოსავლის კვარტალური დავალების შესრულება, სამუშაოდღეებისა და სეანსების გაცდენების აღკვეთა.

2. ფილმების ასლების დაზიანების შემთხვევებისა და ფილმების გაქირავებისათვის დავალიანების უქონლობა.

3. მოგების კვარტალური გეგმის შესრულება (ან გეგმიანი ზარალის შემცირება) და ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება.

VI. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციები

1. გზების, ხიდებისა და ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობისა და რემონტის კვარტალური გეგმის შესრულება სამუშაოთა მაღალი ხარისხით.

2. ძირითადი ადგილობრივი საშენი მასალების დამზადებისა და გამოზიდვის გეგმის შესრულება.

3. იმ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმის შესრულება, რომელიც სამეურნეო წესით ხორციელდება, და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება დაწესებულ ვადებში.

4. წამყვანი მექანიზმებით გამომუშავების ნორმებისა და შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება.

5. ახალი ტექნიკის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის დავალების შესრულება.

6. სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება გეგმიან ღირებულებასთან შედარებით.

7. გზების საუკეთესოდ შენახვა, კულტურული გაფორმება და ამ გზებზე შეუფერხებელი გავლის უზრუნველყოფა.

VII. ფულადი პრემიების გაცემისა და ხარჯვის წესი

1. ფულადი პრემიების მიცემა საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის წარმოების ზეგეგმითი მოგების ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირების იმ ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე, რაც საწარმომ მიიღო კალენდარული წლის დამდეგიდან დაჯილდოების მოქმედი სკალით გათვალისწინებული რაოდენობით, მუშაკთა რიცხვის კვალობაზე.

ცალკეული გათვალისწინებული მაჩვენებლების შეუსრულებლობისას პრემიები შეიძლება მიენიჭოს საწარმოთა კოლექტივებს, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელებს პრემიები ჩამოერთმევათ მთლიანად ან ნაწილობრივ.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით საწარმოთა კოლექტივებისათვის მინიჭებული ფულადი პრემიები დაიხარჯება: როდესაც პრემიის თანხა შეადგენს 2 ათას მანეთამდე ჩათვლით — მთლიანად სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე წარჩინებულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად; როდესაც პრემიის თანხა 2 ათას

მანეთს აღემატება — 70 პროცენტამდე ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის. ხოლო პრემიის დანარჩენი თანხა წარიმართება საწარმოს, ორგანიზაციის მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების ღონისძიებებისათვის. ამასთან აღნიშნული მიზნისათვის განკუთვნილ სახსრებს გაანაწილებენ საწარმოთა ხელმძღვანელები პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად.

ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის გამოყოფილი სახსრები გამოიყენება მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დასაჯილდოებლად საწარმოს ხელფასის საერთო ფონდში მუშაკთა თვითეული კატეგორიის ხელფასის ფონდის პროპორციულად. ასეთივე წესით განაწილდება თანხა იმ პრემიის გამოკლებით, რომელიც ეძლევა საწარმოს დირექტორს, მთავარ ინჟინერს და მთავარ ბუღალტერს, აგრეთვე განთავისუფლებულ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს. ამასთან აღნიშნულ მუშაკთა ხელფასი გამოირიცხება საწარმოს ხელფასის საერთო ფონდიდან მომუშავეთა ცალკეულ კატეგორიებს შორის პრემიის განაწილების დროს.

საწარმოთა და ორგანიზაციათა დირექტორებს, მთავარ ინჟინრებს და მთავარ ბუღალტრებს პრემიები დაუწესდებათ შემდეგი ოდენობით: პირველი ფულადი პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტამდე, მეორე პრემია — 30 პროცენტამდე და მესამე პრემია — თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 20 პროცენტამდე.

პრემიების კონკრეტული ოდენობა დაწესდება სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

სოციალისტური შეჯიბრების ხაზით დაჯილდოების მთელი სახსრების ხარჯვას ეწევიან საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმებით.

განთავისუფლებული პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები დაჯილდოვდებიან კოლექტივის ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან და მოსამსახურეებთან ერთად, რომლებიც პრემიებს იღებენ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით, პარტიის რაიკომების, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა არა აქვთ, საქალაქო კომიტეტების გადაწყვეტილებებით. პრემიები გაიცემა ინდივიდუალური დაჯილდოებისათვის განკუთვნილი სახსრებიდან.

VIII. შეჯიბრების შედეგების შეჯამების წესი

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესრულების გასული კვარტალის მაჩვენებლებს წარუდგენს საწარმო პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტთან ერთად სამ ცალად, საბუღალტრო ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე, სამინისტროს (უწყებას) და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება წარმოებს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროს (უწყების) კოლეგიის და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წარდგენით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით, ხოლო სამინისტროს (უწყების) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება პირველი ფულადი პრემიებით, მეორე და მესამე ფულადი პრემიების მინიჭება წარმოებს სამინისტროს კოლეგიის და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით საანგარიშო კვარტალის მომდევნო თვის არაუგვიანეს 30 რიცხვისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების კოლექტივებს გადასცემენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ხოლო სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას — სამინისტროს კოლეგიის და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები არაუგვიანეს 10 დღისა იმ დროიდან, რაც მიღებულია დადგენილება დროშების მინიჭების შესახებ.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო მოუწოდებენ საქართველოს სსრ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

23 თვითნებურად აშენებულ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი სახლის წიგნების გაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ორგანოების დაუდევრობის შედეგად წარსულში ხორციელდებოდა თვითნებური მშენებლობა. თვითნებურად აშენებული სახლების სიმრავლის გამო, ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ გამოიყენეს კანონით გათვალისწინებული ზომები მათი აღებისა და ჩამორთმევისათვის. ასეთ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა აღურიცხველი რჩებოდა, რაც შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს აძლიონ, როგორც გამონაკლისი, წარსულში თვითნებურად აშენებული სახლების მფლობელებს დროებითი სახლის წიგნები ამ სახლებში მცხოვრებ მოქალაქეთა აღრიცხვის მიზნით.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს განუმარტონ მოქალაქეებს, რომლებმაც თვითნებურად ააშენეს უპროექტო საცხოვრებელი სახლები, რომ:

ა) დროებითი სახლის წიგნების მიცემა არ ანიჭებს მათ სახლის საკუთრების უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით;

ბ) მათ უფლება არა აქვთ გაასხვისონ რაიმე ფორმით აღნიშნული შენობები და აწარმოონ მიშენება, დაშენება და რეკონსტრუქცია; შეუძლიათ იცხოვრონ თვითნებურად აშენებულ სახლებში მანამ, ვიდრე საჭირო არ გახდება ამ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ან ვიდრე გამოტანილი არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მოთხოვნით ამ სახლების ჩამორთმევის შესახებ. ამასთან ამ შემთხვევაში მათ არ აუნაზღაურდებათ ამ ნაკვეთებზე თვითნებურად აშენებული სახლების, აგრეთვე ნარგავების ღირებულება.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები შემდეგში თვითნებური მშენებლობის აღკვეთისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 4 მარტი, № 110

24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1969 წლის 16 იანვრის № 3 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტი საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიური გამოკვლევების სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტად.

გარდაქმნა მოხდეს ამ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი ხელფასის ფონდისა და ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 4 მარტი, № 111

25 საქართველოს სს რესპუბლიკაში კარსტული მღვიმეების დაცვის, კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის შესახებ

რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე კარსტული მღვიმეების დაცვის, შესწავლის, კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს უახლოეს დროში შეიმუშაოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული კარსტული გამოქვაბულების დაცვას, კეთილმოწყობას, შესწავლასა და მათი ექსპლოატაციის საქმეში სრული წესრიგის დამყარებას.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, რესპუბლიკის რაისაბჭოების აღმასკომებმა, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს მათ ტერიტორიაზე არსებული კარსტული წარმოშობის მღვიმეების დაცვის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამოუყოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს გამოქვაბულების დაცვისა და სპელეოლოგიური მუზეუმის შენობის შეკეთება-მოწყობისათვის 9 ათასი მანეთი 1969 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლიდან.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს დააწესოს კარსტულ მღვიმეებში დამთვალიერებელთათვის გადასახდელი 20 კაპიკი და მიღებული შემოსავალი მოახმაროს ამ მღვიმეების მოვლა-შენახვის საქმეს.

5. დაევალოს ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ივნისის № 804 განკარგულებით გათვალისწინებულ სათაფლიისა და ივერიის კარსტულ გამოქვაბულთა კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებას.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოუყოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ხელფასის ფონდი 5,5 ათასი მანეთი კარსტული მღვიმეების მოვლა-დაცვაზე დასაქმებულ 8 საშტატო ერთეულის შესანახად, ამასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილება შეიტანოს 1969 წლის შრომის გეგმაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 6 მარტი, № 116

26 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორ კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნიას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საბჭოთა გეოლოგიური მეცნიერების წინაშე პროფესორ კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნიას დიდი დამსახურების აღსანიშნავად დაწესდეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის კალისტრატე გაბუნიას სახელობის ერთი სტიპენდია 50 მანეთის ოდენობით, საქართველოს სსრ უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსათვის დამტკიცებული სტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 19 მარტი, № 140

27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს წესდების დამტკიცების შესახებ

11.168

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 იანვრის № 20 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 19 მარტი, № 145

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДАМТКИЦЕБУЛИА
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
1969 წლის 19 მარტის № 145
დადგენილებით

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოსი

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო საკავშირო-რესპუბლიკური ორგანოა და ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო ახორციელებს ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ წიაღისეულის გეოლოგიური შესწავლისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს აკისრია პასუხისმგებლობა რესპუბლიკის წიაღისეულის მდგომარეობისა და მისი გეოლოგიური შესწავლის შემდგომი განვითარებისათვის, ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, მიმდინარე გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის და მინერალური ნედლეულის დაზვერილი მარაგით რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების მაქსიმალურად უზრუნველყოფისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო მოქმედებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულებისა და „სახელმწიფო გეოლოგიურ-სადაზვერვო და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ ორგანიზაციებში სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ“ სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის 1966 წლის 11 ივნისის № 256 ბრძანების საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო არის დამოუკიდებელი საწესდებო საწარმოო ორგანიზაცია, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე და აქვს იურიდიული პირის უფლებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო მისდამი დაქვემდებარებული საწესდებო უფლებებით აღჭურვილი „საქნახშირმადანდაზვერვის“ ტრესტის მიმართ მოქმედებს როგორც სამეურნეო მმართველობის ორგანო სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულების მე-10 პუნქტისა და სსრ კავშირის გეოლოგიის მინისტრის 1966 წლის 11 ივნისის № 256 ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხოლო მის შე-

მადგენლობაში შემავალი გეოლოგიური ექსპედიციების, პარტიებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ არიან აღჭურვილი საწესდებო უფლებებით, — როგორც სამრეწველო საწარმო.

თავისი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს აქვს საწარმოო ქვედანაყოფები დამოუკიდებელ ბალანსზე.

4. თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით და განკარგულებებით, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე ამ წესდებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას თავისი სისტემის ორგანიზაციებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო იმყოფება ქ. თბილისში.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

II. ამოცანები და საქმიანობის მიზანი

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს მთავარი ამოცანებია:

უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინერალურ-ნედლეულის ბაზის ყოველმხრივ განვითარება, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ჩატარების მაღალი ტემპი და ხარისხი, შრომის ნაყოფიერების ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებანი მინერალური ნედლეულის დაზვერილ მარაგზე;

შეასრულოს სახელმწიფო გეგმის დავალებანი და უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მკაცრად დაცვა;

სრულყოს სასარგებლო წიაღისეულის საბადოების მეცნიერული პროგნოზირება, სამუშაოთა წარმოება სასარგებლო წიაღისეულის საბადოების საძიებლად და დასაზვერად საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, აამაღლოს ამ სამუშაოთა ეფექტიანობა, გააუმჯობესოს ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენება;

განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განვითარებაში საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები და მოწინავე გამოცდილება და უზრუნველყოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები;

დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმარ-

თველოს სისტემის ორგანიზაციები კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების ყველაზე უკეთ გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთაც კარგი სახელი აქვთ მოხვეჭილი;

რაციონალურად გამოიყენოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წარმოებისათვის გამოყოფილი სახსრები, აამაღლოს მათი გამოყენების ეფექტიანობა, შეამციროს ამ სამუშაოთა ღირებულება და შეკვეცოს მათი შესრულების ვადები;

შექმნას უსაფრთხო შრომის პირობები გეოლოგიურ-სადაზვერვო და სხვა სამუშაოთა წარმოებისას, გაუმჯობესოს საქვეუწყებო ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო ახორციელებს ხელმძღვანელობას მისთვის დაკისრებული დარგისადმი უშუალოდ ტრესტის, ექსპედიციის, პარტიისა და სხვა ორგანიზაციების მეშვეობით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო, წარმოადგენს რა წამყვანს რესპუბლიკის წიაღისეულის გეოლოგიური შესწავლის დარგში, მონაწილეობს იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაგეგმვაში, რომლებსაც ახორციელებენ რესპუბლიკის სხვა სამინისტროები და უწყებათა საწარმოები და ორგანიზაციები, მათთან ერთად სწავლობს იმას, თუ როგორ არიან უზრუნველყოფილი მინერალური რესურსების მარაგით და წყლის რესურსებით მრეწველობისა და მშენებლობის დარგები, და შეიმუშავებს ღონისძიებებს ამ უზრუნველყოფისა და მიმდინარე გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებასთან ერთად:

ა) უზრუნველყოფს რესპუბლიკის წიაღისეულის გეგმაზომიერ გეოლოგიურ შესწავლას;

ბ) ახორციელებს საქვეუწყებო ორგანიზაციების ძალებით სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიებას და დაზვერვას, გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წარმოების ეფექტიანი მეთოდების შემუშავებას და დანერგვას, უზრუნველყოფს ღონისძიებათა განხორციელებას ამ სამუშაოთა ორგანიზაციისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე დაზვერილი მარაგის სინამდვილის უტყუარობის დაზუსტებისათვის;

შეიმუშავებს საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა მონაწილეობით მინერალურ-ნედლეულის ბაზის და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განვითარების ძირითად მიმართულებებს მთლიანად რესპუბლიკაში, იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს ორგანიზაციები და საწარმოები ასრუ-

ლებენ, ათანხმებს ამ მიმართულებებს და გეგმების პროექტებს დადგენილი წესით და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს;

გ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო გეოლოგიურ კონტროლს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა სწორად ჩატარებისადმი, აწყობს იმ გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა სახელმწიფო რეგისტრაციას, რომლებსაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ეწევიან ორგანიზაციები და საწარმოები, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

დ) საქართველოს სსრ დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების მონაწილეობით ახდენს რესპუბლიკის სასარგებლო წიაღისეულის მარაგის პროგნოზული შეფასების დასაბუთებულობის აპრობაციას;

ე) ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს და მარაგს და ადგენს რესპუბლიკის სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ყოველწლიურ ბალანსებს რესპუბლიკის სხვა უწყებებისაგან დადგენილი წესით მიღებული მონაცემების გამოყენებით;

ვ) ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს მიწისქვეშა წყლების გამოყენებისა და მათი დაცვისადმი დაშრეტისა და გაჭუჭყიანებისაგან (ჰიდრომინერალური რესურსების გარდა);

ზ) საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განიხილავს სასარგებლო წიაღისეულის ცალკეულ სახეობათა საბადოების წინასწარი დაზვერვის შედეგებს და განსაზღვრავს ამ საბადოების დეტალური დაზვერვის მიზანშეწონილობას; გადასცემს სხვა სამინისტროებს და უწყებებს დადგენილი წესით სასარგებლო წიაღისეულის დაზვერილ საბადოებს მათ ბაზაზე ახალ საწარმოთა დაპროექტებისა და მშენებლობისათვის;

თ) უზრუნველყოფს წიაღისეულის დაცვის მოთხოვნათა შესრულებას გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წარმოებისას საქვეუწყებო ორგანიზაციების მიერ;

ი) ადგენს ყველა ორგანიზაციისათვის, საწარმოთა და დაწესებულებისათვის სავალდებულო წესს გეოლოგიური მასალების გეოლოგიურ ფონდში წარდგენისა და ამ მასალებით სარგებლობის შესახებ, ახორციელებს მათს ცენტრალიზებულ დაცვა-შენახვას;

კ) შეიმუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მწარმოებელი ყველა საქვეუწყებო ორგანიზაციისათვის ძირითადი მასალების ხარჯვის სავალდებულო ნორმატივებს. ახორციელებს ღონისძიებებს გეოლოგიის სამმართველოს საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისათვის, დაგროვებათა მაქსიმალურად გადიდებისათვის, ძირითადი ფონდების, საბრუნავი საშუალებებისა და საბანკო კრედიტების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

აფინანსებს დადგენილი წესით გეოლოგიის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს და საწარმოებს, ხელმძღვანელობს მათს ფინანსურ საქმიანობას, ახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული გეოლოგიის სამმართველოს ორგანიზაციების და საწარმოების ფინანსური რეზერვების გამოყენებისადმი;

ლ) უზრუნველყოფს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების დროულ შემუშავებას და დამტკიცებას საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის და ახორციელებს კონტროლს მათი სისწორისადმი.

მ) წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსა და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მოწინავე მუშაკებს სამკერდე ნიშნებით და საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად, აგრეთვე დამოუკიდებლად წაახალისებს წარმოების მოწინავეებს.

III. ორგანიზაციის საშუალებანი

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა დაფინანსების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სახსრები და ასიგნებანი კაპიტალური დაბანდებებისათვის.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს აქვს საწესდებო ფონდი, რომელმაც 1969 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 12,8 მილიონი მანეთი. საწესდებო ფონდის გარდა გეოლოგიის სამმართველოს შეუძლია შექმნას კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფონდებიც.

13. დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის შრომის გეგმის განაწილების დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს უფლება აქვს თავის განკარგულებაში დაიტოვოს მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის რეზერვი 2 პროცენტამდე ოდენობით.

IV. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროსთან შეთანხმებით და რომელიც მოქმედებს ერთმმართველობის უფლებებით.

სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელთაც დადგენილი წესით ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გეოლოგიის სამმართველოს უფროსის წარდგენით.

მოვალეობათა განაწილება მოადგილეებს შორის წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსის მიერ.

გეოლოგიის სამმართველოს აპარატის მუშაკებისა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკების დანიშვნა და სამუშაოდან განთავისუფლება წარმოებს დადგენილი წესით.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსი პერსონალურად აგებს პასუხს გეოლოგიის სამმართველო-

სათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს თავისი მოადგილეებისა და გეოლოგიის სამმართველოს განყოფილებათა უფროსების პასუხისმგებლობის ხარისხს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა საქმიანობისათვის.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსი გეოლოგიის სამმართველოს კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს ბრძანებების და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ყველა დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსი სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

17. რეგულარულ საწარმოო თათბირებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველო განიხილავს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა განვითარების ძირითად საკითხებს და გეოლოგიის სამმართველოს საქმიანობის სხვა საკითხებს.

18. იმისათვის, რომ განიხილოს წინადადებანი, განსაზღვროს ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური პოლიტიკა გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა წარმოებისათვის, საბჭოთა და საზღვარგარეთული მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოსაყენებლად და დასანერგად რეკომენდაციების შემუშავებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოში იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც გაერთიანდებიან მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას ამტკიცებს გეოლოგიის სამმართველოს უფროსი.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს აპარატის სტრუქტურას, საშტატო განრიგს და ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს გეოლოგიის სამმართველოს უფროსი.

20. ყველა დოკუმენტს, რომელიც გამოდგება საფუძვლად ფულისა და სხვა ფასეულობათა გადახდისა და მიღებისათვის, აგრეთვე, რომელიც ცვლის საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობას სხვა ორგანიზაციებთან, ხელს აწერენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილეები და მთავარი ბუღალტერი.

---

28 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 64 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 იანვრის № 64 დადგენილებისა „სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 მარტის № 337 განკარგულება.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 დეკემბრის № 730 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 ნოემბრის № 912 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა გაუქმებისა და მისგან გამომდინარე ცვლილებების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 26 მარტი, № 157

29 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლთა და კონდუქტორთა მუშაობის რეჟიმის შესახებ

„საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მძღოლთა და კონდუქტორთა მუშაობის რეჟიმის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 იანვრის № 73 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

უფლება მიენიჭოთ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოთა ხელმძღვანელებს შემოიღონ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ქალაქების რეგულარულ სამგზავრო ხაზებზე მომუშავე ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და ტრამვაის მძღოლებისა და კონდუქტორებისათვის ისეთი სამუშაო დღე, როდესაც ცვლა გაიყოფა ორ ნაწილად და დაემატოს თვითეულ ცვლაში ნამუშევარი დროისათვის სამუშაოზე ორი გამოსვლით სატარიფო სარგოს (განაკვეთის) 30 პროცენტამდე.

დაწესდეს, რომ მუშაობის ამ რეჟიმზე გადაყვანა შეიძლება მოხდეს მუშაკის თანხმობით, ხოლო ასეთი ცვლების რაოდენობა თვეზე გაანგარიშებით არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღემატებოდეს აღნიშნული პროფესიების მუშაკთათვის ცვლათა საერთო რაოდენობის 20 პროცენტს. შიგაცვლის შესვენების დრო სამუშაო დროში არ ჩაითვლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 28 მარტი, № 170

30 საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ყველისა და კარაქის ქარხნებიდან მოხდილი რძის დაბრუნების ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 240 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1971 წლის 1 იანვრიდან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიერ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ყველისა და კარაქის ქარხნებში ჩაბარებული და გადამუშავებული რძის რაოდენობიდან მოხდილი რძის დაბრუნების ნორმა 15 პროცენტის რაოდენობით, ხოლო ხბოს კვების პერიოდში — 25 პროცენტი.

სანაშენო ფერმებსა და საჯიშე საბჭოთა მეურნეობებს მოხდილი რძე დაუბრუნდეთ მოქმედი ნორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი 1969 წლის 28 მარტი, № 171

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 იმ ელექტროენერგიის საფასურის მიღების წესის შესახებ, რომელსაც საქართველოს სსრ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ხარჯავს

ამონაკრები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 ნოემბრის № 876 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროთ სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებს (ცენტრალურს, პირველი და მეორე თანრიგისას) და საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის განყოფილებებს იმ ელექტროენერგიის საფასურის მიღება, რომელსაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ხარჯავს.

ელექტროენერგიისათვის საფასურის მიღების აღნიშნულ წესზე გადასვლა სოფელ ადგილებში განხორციელდეს 1969-1970 წლებში, დანართის თანახმად.

სოფლის დასახლებულ პუნქტებში, რომელთა მოსახლეობას საშუალება არა აქვს შეიტანოს ელექტროენერგიის გადასახადი სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროებსა და კავშირგაბმულობის განყოფილებებში მათი სიშორის გამო, აღნიშნული საფასურის მიღება დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს, რომელსაც ნება დაერთოს საჭირო შემთხვევებში გამოიყენოს ამ საქმეების შესასრულებლად სახელშეკრულებო საწყისებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციების მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი საფასურის მიღების წესის შესახებ, რასაც ეს სამმართველო განახორციელებს.

2. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაფარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს ენერგოგასაღებისადმი მთელი დავალიანება ელექტროენერგიისათვის, რაც დახარჯეს კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მომხმარებლებმა, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აბონენტები არიან, — მანამ, ვიდრე მათს ტერიტორიაზე მცხოვრები სოფლის მოსახლეობა გადაყვანილი იქნება საფასურის მიღების ახალ წესზე.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უზრუნველყონ 1969-1970 წლებში ელექტროენერგიის ხარჯვის მრიცხველების დაყენება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ობიექტებში.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას 1969-1970 წლებში სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება ელექტროენერგიის ხარჯვის მრიცხველებზე.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს ელექტროენერგიის ხარჯვის დანაკლისი მრიცხველების დაყენებამდე მიიღოს მომხმარებლებისაგან ელექტროენერგიის საფასური დაყენებულ დენმიმღებთა სიმძლავრის შესაბამისად.

9. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 ნოემბრის № 876 დადგენილების შესაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა 1968 წლის 13 დეკემბრის № 924 დადგენილებით დაამტკიცა ტარიფი სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს სისტემის ენერგომომმარაგებელი ორგანიზაციების მიერ კავშირგაბმულობის განყოფილებათა მომსახურების საფასურის ანაზღაურებისა სოფლის მოსახლეობისაგან ელექტროენერგიის გადასახდელთა მიღებისა და ამ თანხების გადარიცხვისა ელექტრომომმარაგებელ ორგანიზაციათა ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში საფასურის მიღების თვითეულ ოპერაციაზე (ქვითარზე) 7 კაპიკის რაოდენობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 21 მარტი, № 175

32 მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურეგისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომეგის შესახებ

მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ოქტომბრის № 790 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ოქტომბრის № 790 დადგენილება დაეგზავნოს ცნობად და სახელმძღვანელოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

2. შეიქმნას საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსთან სამეურნეო ანგარიშზე მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დამოუკიდებელი სპეციალიზებული სამმართველო „საქავტოტექმომსახურება“, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმორჩილდეს ტექნიკური მომსახურების ყველა სადგური, სატრანსპორტო საშუალებათა სარემონტო სახელოსნოები, უბნები, გასარეცხი პუნქტები, რომლებიც იმყოფებიან ყოფაცხოვრების სამსახურის სისტემაში, და დაწესდეს, რომ აღნიშნული სპეციალიზებული სამმართველო:

ხელმძღვანელობას გაუწევს ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტელების და მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების (მსუბუქი ავტომობილების, მოტოციკლების, მოტოეტლების, მოტოროლერების და სხვ.) მომსახურებისა და რემონტის სხვა საწარმოების მუშაობას;

მოაწყობს მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების რემონტისა და შენახვის ყველა სახის სამუშაოს, აგრეთვე ამ სატრანსპორტო საშუალებათა საგარანტიო რემონტთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებას, დამამზადებელ ქარხნებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

უზრუნველყოფს ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტელებისა და იმ სხვა საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, რომლებიც მომსახურებას უწევენ მოქალაქეთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებს და ახორციელებენ მათ რემონტს.

3. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დადგენილი წესით დაამტკიცოს „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს სტრუქტურა, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები და მისი დებულება.

4. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სპეციალიზებულმა სამმართველომ — „საქავტოტექმომარაგებამ“, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას:

— ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტელების, ავტოგასაწყობი სადგურების, გასარეცხი პუნქტების, გარაჟებისა და სხვა ობიექტების შექმნა უახლოეს წლებში ქალაქებში, დიდ მუშათა დაბებში და გზატკეცილებზე;

მსუბუქი ავტომობილების, სამოტოციკლეტო ტექნიკისა და მათი აგრეგატების სარემონტო ახალი სპეციალიზებული საწარმოების მშენებლობა და მოქმედი სპეციალიზებული საწარმოების რეკონსტრუქცია, მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების რემონტის სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით, მათ შორის ხელით სამართავი მსუბუქი ავტომობილებისა „ზაპოროჟეცი“ და „მოსკვიჩი“, ამასთან იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილებით;

ავტომობილებისა და სამოტოციკლეტო ტექნიკის გამოყოფა ტექნიკური მომსახურების სადგურებისათვის, რათა ტექნიკური დახმარება გაეწიოს სატრანსპორტო საშუალებებს გზაში;

ტექნიკური მომსახურების სადგურებისა და ავტოგასაწყობი სადგურების მშენებლობა საავტომობილო გზების მოწყობის საერთო კომპლექსში და მათი გადაცემა საექსპლუატაციოდ საავტომობილო გზების საექსპლოატაციოდ გადაცემასთან ერთად;

ფასიანი გასაჩერებელი ადგილების ქსელის გაფართოება ქალაქებში, საკურორტო ადგილებსა და მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა დროებით და ხანგრძლივ შესანახად;

მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა საავტომობილო მოწყობილობისა და პირველი საჭიროების სათადარიგო ნაწილების გაყიდვა საერთო სარგებლობის ავტოგასაწყობ სადგურებში, აგრეთვე ცალკეული ტექნიკური მომსახურების გაწევა სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისათვის (სალტეების გაბერვა, წყლის დამატებით ჩასხმა, ავტომობილების გაწყობა სამუხრუჭე და სააკუმულატორო სითხით).

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

1970 წლიდან დაწყებული, გაითვალისწინოს სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტებით მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით, აგრეთვე მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა ობიექტების მშენებლობისა, რომელიც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებისა და ბანკის კრედიტის ხარჯზე.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახმშენს ქალაქების გენერალური გეგმების, ქალაქთა საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებისა და განაშენიანების განხორციელების დროს გაითვალისწინოს მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკის პერსპექტიული ზრდა და უზრუნველყოს იმ ნაგებობათა კომპლექსების რაციონალურად განლაგება, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობისათვის მათ მიყიდვასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, რემონტთან, საწვავ-საცხები მასალებით გაწყობასთან და შენახვასთან, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ გამოყენებულ იქნას საჭირო შემთხვევებში ამ მიზნისათვის ქალაქების მიწისქვეშა სივრცეები, მათ შორის საზოგადოებრივი დანიშნულების დაპროექტებული დიდი შენობებისა და ნაგებობების ქვეშ.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გამოუყონ დადგენილი წესით „საქავტოტექმომსახურების“ სამმართველოს ქალაქებსა და მუშათა დაბებში მიწის ნაკვეთები მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საჭირო კოოპერაციული გარაჟებისა და ღია გასაჩერებელი ადგილების მშენებლობისათვის, როგორც წესი, იმ რაიონებში, რომლებსაც მოეპოვებათ კეთილმოწყობილი გზები და მათთან მისასვლელები, წყალსადენის, კანალიზაციისა და ელექტრომომარაგების ქსელი.

კოოპერაციულ გარაჟებთან და ტრანსპორტის ღია გასაჩერებელ ადგილებთან მისასვლელი გზების და საინჟინერო კომუნიკაციების მშენებლობა ხორციელდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებსაც აღმასკომები გამოყოფენ ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს შექმნას ცენტრალიზებული ფონდები ქვესაუწყებო საწარმოების მუშაკთა დასაჯილდოებლად, რომლებიც მოსახლეობის მომსახურებას ეწევიან, რათა წახალისებულ იქნან ის პირები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მომსახურების ახალ სახეობათა და ფორმების ორგანიზაციასა და დანერგვაში, იმ ამონაგების ერთი პროცენტის რაოდენობით, რაც მიღებული იქნება მოსახლეობისათვის წვრილად დაფასებული ნავთობპროდუქტების, ავტომობილების და მოტოციკლური ტექნიკის მიყიდვისაგან და მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისაგან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს ყოველწლიურად წარუდგინოს სსრ კავშირის სახმომარაგებას განაცხადები მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილებსა, აგრეგატებსა და კვანძებზე, რომლებიც განკუთვნილია „საქავტოტექმომარაგების“ სამმართველოსათვის, და დაწესდეს, რომ ავტომობილების იმ სათადარიგო ნაწილების, აგრეგატებისა და კვანძების ფონდების რეალიზაცია, რომლებიც განკუთვნილია „საქავტოტექმომსახურების“ სპეციალიზებული სამმართველოსათვის, ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ მეშვეობით, ტრანზიტად უშუალოდ მიმწოდებელი ქარხნებისაგან.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1970-1971 წლებში 400 მოსწავლის ადგილიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის (სასწავლო კორპუსის, სასწავლო სახელოსნოებისა და საერთო საცხოვრებლის) დაპროექტება და მშენებლობა მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საწარმოებისათვის კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად, კაპიტალურ დაბანდებათა იმ ლიმიტების ხარჯზე, რომლებიც რესპუბლიკას გამოეყოფა დარგით „საყოფაცხოვრებო მომსახურება“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. მეგრელიშვილი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 790

1968 წლის 10 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ

მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკებში მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დამოუკიდებელი სპეციალიზებული ორგანიზაციები („ავტოტექმომსახურება"), სამეურნეო ანგარიშზე.

დაწესდეს, რომ აღნიშნული სპეციალიზებული ორგანიზაციები:

ხელმძღვანელობას გაუწევენ ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტელების და მოქალაქეთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა (მსუბუქი ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოეტლები, მოტოროლერები და სხვ.) მომსახურებისა და რემონტის სხვა საწარმოების მუშაობას;

მოაწყობს ყველა სახეობის მომსახურებას მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების, რემონტისა და შენახვის დარგში, აგრეთვე ამ სატრანსპორტო საშუალებათა საგარანტიო რემონტის სამუშაოების შესრულებას დამამზადებელ ქარხნებთან სახელშეკრულებო საწყისებზე;

უზრუნველყოფს ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტელებისა და მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებისა და რემონტის სხვა საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

2. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

ა) განიხილონ და გადაწყვიტონ საკითხი, რომ გადაეცეს მოქალაქეთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სპეციალიზებული ორგანიზაციების გამგებლობაში საჭირო საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში (გარდა ქ. მოსკოვში არსებული საწარმოებისა);

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ ღონისძიებანი იმ მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებასთან, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას:

ტექნიკური მომსახურების სადგურების, მოტელების, ავტოგასაწყობი სადგურების, სარეცხი პუნქტების, გარაჟებისა და სხვა ობიექტების ფართო ქსელის შექმნა უახლოეს წლებში ქალაქებში, მსხვილ მუშათა დაბებში და გზატკეცილებზე, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მოთხოვნილებანი მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მომსახურებაზე;

მსუბუქი ავტომობილების, მოტოციკლური ტექნიკისა და მათი აგრეგატების რემონტის ახალი სპეციალიზებული საწარმოების მშენებლობა და მოქმედი სპეციალიზებული საწარმოების რეკონსტრუქცია იმის გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილება რემონტზე;

ავტომობილებისა და მოტოციკლური ტექნიკის გამოყოფა ტექნიკური მომსახურების სადგურებისათვის, რათა ტექნიკური დახმარება გაეწიოს სატრანსპორტო საშუალებებს გზაში;

ტექნიკური მომსახურების სადგურებისა და ავტოგასაწყობი სადგურების მშენებლობა საავტომობილო გზების მოწყობის საერთო კომპლექსში და მათი გადაცემა საექსპლუატაციოდ საავტომობილო გზების საექსპლუატაციოდ გადაცემასთან ერთად;

ფასიანი გასაჩერებელი ადგილების ქსელის გაფართოება ქალაქებსა და საკურორტო ადგილებში მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დროებით და ხანგრძლივ შესანახად;

მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა პირველი საჭიროების სათადარიგო ნაწილების და საავტომობილო მოწყობილობის გაყიდვა საერთო სარგებლობის ავტოგასაწყობ პუნქტებში, აგრეთვე ცალკეული ტექნიკური მომსახურების გაწევა სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისათვის (სალტეების გაბერვა, წყლის დამატებით ჩასხმა, ავტომობილების გაწყობა სამუხრუჭე და საკუმულატორო სითხით და სხვ.);

მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების რემონტისათვის საჭირო ლიმიტების გამოყოფა „ავტოტექმომსახურების“ სპეციალიზებული ორგანიზაციებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების ავტოსარემონტო საწარმოებში იმის გათვალისწინებით, რომ დაკმაყოფილდეს ავტომობილების მფლობელთა მოთხოვნილება რემონტზე.

3. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ ტექნიკური მომსახურების სადგურები, ავტოსატრანსპორტო და ავტოსარემონტო საწარმოები და გაწყობილი გარაჟები, უზრუნველყონ ქვესაუწყებო საწარმოებში მანამ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნებოდეს მოქალაქეთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ფართო სპეციალიზებული ბაზა, მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და მათი აგრეგატების, მოტოციკლების, მსუბუქი ავტომობილებისა და მათი აგრეგატების, მოტოციკლების, მოტოროლერების და მოტოეტლების ტექნიკური მომსახურების და რემონტის სამუშაოთა შესრულება იმ ტარიფების (ფასების) მიხედვით, რომლებიც მოქმედებენ ამ სახის მომსახურებაზე ოლქში, მხარეში, რესპუბლიკაში და დაადგინონ იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, რომელთა ტერიტორიაზე იმყოფებიან ეს საწარმოები, სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისათვის მომსახურების გაწევის წესი.

4. დაეკისროს საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს:

ა) ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დარგში;

ბ) საგარაჟო მოწყობილობის, სპეციალური ინსტრუმენტისა და საავტომობილო მოწყობილობათა დაპროექტება და წარმოება;

გ) იმ საწარმოთა მუშაობის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, რომლებიც ეწევიან ტექნიკურ მომსახურებას, რემონტსა და მოსახლეობისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მიყიდვას, აგრეთვე ასეთ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების სისტემის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება;

დ) მონაწილეობის მიღება ტექნიკური მომსახურების, რემონტის, საწარმოების დაპროექტებასა და მოსახლეობისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მიყიდვაში;

მიღებულ იქნას საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს ამ სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგარაჟო მოწყობილობის წარმოების მთავარი სამმართველო, აგრეთვე, რომ შეიქმნას ამ დარგში მეცნიერული პრობლემების შესასწავლად სამეცნიერო-საკვლევი საავტომობილო და საავტომოტორო ინსტიტუტის ფილიალი.

5. სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ და სახმშენმა შეიმუშაონ 1968—1969 წლებში მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების, დიაგნოსტიკური ცენტრების, ავტოგასაწყობი სადგურების, მოტოციკლური ტექნიკისა და ნავის ძრავების სარემონტო სპეციალიზებული საამქროების, მსუბუქი ავტომობილების გასაჩერებელი ადგილების — გარაჟების, მოტოციკლთა გარაჟების, აგრეთვე მოტელებისა და სარეცხი პუნქტების ახალი პროექტები.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშაოს დაინტერესებული სამინისტროების მონაწილეობით და მისცეს სსრ კავშირის სახმშენს მასთან შე-

თანხმებულ ვადებში ამ პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების, მათ შორის ისეთი ობიექტების დაპროექტების ტექნიკური დავალებანი, რომლებზედაც მიზანშეწონილია მოეწყოს კომპლექსური შესრულება ახალი და ნახმარი მსუბუქი ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი სათადარიგო ნაწილების გასაყიდად მომზადებასთან და მოსახლეობისათვის მიყიდვასთან დაკავშირებული სამუშაოებისა, სატრანსპორტო საშუალებათა საგარანტიო მომსახურებისა და პერიოდული ტექნიკური მომსახურების და მიმდინარე რემონტის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებისათვის სხვა სახის მომსახურების გაწევის სამუშაოებისა.

დაწესდეს, რომ 1970 წლიდან დაწყებული, მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ახალი საწარმოების მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს, როგორც წესი, აღნიშნული პროექტების მიხედვით.

6. დაევალოთ საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საგარაჟო მოწყობილობის წარმოების გადიდება და ტექნიკური დონის ამაღლება, რათა დაკმაყოფილდეს ქვეყნის მთელი საავტომობილო პარკის მოთხოვნილება ამ მოწყობილობაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ განიხილონ იმის საკითხი, რომ გადაეცეს რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს გამგებლობიდან საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს გამგებლობაში საგარაჟო მოწყობილობის შემუშავებისა და წარმოების საჭირო საწარმოები და ორგანიზაციები.

წინადადებანი ამ საკითხზე 3 თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

7. დაეკისროთ მშენებლობა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების და რემონტის სადგურებისა, მოტელებისა, ავტოგასაწყობი სადგურებისა, სარეცხი პუნქტებისა და მოქალაქეთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა მომსახურებისათვის განკუთვნილი ობიექტებისა შესაბამისად — სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მათი საქმიანობის რაიონებში.

აღნიშნული საწარმოების და ობიექტების მშენებლობა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მშენებარე საავტომობილო გზებზე დაეკისროთ სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, ხოლო მოსკოვის ოლქში და ქ. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ტაშკენტში — შესაბამისად მოსკოვის საოლქო აღმასკომთან არსებულ „გლავმოსობლსტროის“, მოსკოვის საქალაქო აღმასკომ-

თან არსებულ „გლავმოსსტროის“ ლენინგრადის საქალაქო აღმასკომთან არსებულ „გლავლენინგრადსტროის“, კიევის საქალაქო აღმასკომთან არსებულ „გლავკიევგორსტროის“ და ტაშკენტის საქალაქო აღმასკომთან არსებულ „გლავტაშკენტსტროის“.

8. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაითვალისწინოს, 1970 წლიდან დაწყებული, სახალხო-სამეურნეო გეგმებით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის.

დაწესდეს, რომ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მშენებარე საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურების საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობა გათვალისწინებული იქნება ამ საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით.

9. სსრ კავშირის სამშენებლო ბანკმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა გასცენ კრედიტი მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასთან და რემონტთან დაკავშირებული საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობისათვის იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 75, 1965 წლის 13 თებერვლის № 82 და 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებებით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებას და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გაითვალისწინონ წლიური სახალხო-სამეურნეო გეგმებით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მატერიალური რესურსებით მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების და რემონტის საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობა, რომელიც ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებისა და ბანკის კრედიტის ხარჯზე.

10. გავრცელდეს სპეციალიზებული ორგანიზაციების — „ავტოტექმომსახურების“ საწარმოებზე, რომლებიც მოსახლეობის შეკვეთებს ასრულებენ, ის შეღავათები და უპირატესობანი, რაც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 822 დადგენილებით, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილების მე-3, 4, 6 და 7 პუნქტების მოქმედება.

11. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ქალაქთა გენერალური გეგმების და ქალაქთა საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონების დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებისა და დამტკიცების და განაშენიანების განხორციელების დროს გაითვალისწინოს სატრანსპორტო საშუალებათა პარკის პერსპექტიული ზრდა და უზრუნველყოს იმ ნაგებობათა კომპლექსების რაციონალურად გამოყენება, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობისათვის სატრანსპორტო სა-

შუალებების მიყიდვასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, რემონტთან, საწვავ-საცხები მასალებით გაწყობასთან და მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების შენახვასთან, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გამოყენებულ იქნას სათანადო შემთხვევებში ამ მიზნებისათვის ქალაქების მიწისქვეშა სივრცე, მათ შორის საზოგადოებრივი დანიშნულების დაპროექტებული დიდი შენობებისა და ნაგებობების ქვეშ.

12. დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგებას მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურების მშენებარე სადგურების დაკომპლექტება საჭირო მოწყობილობით (დიაგნოსტიკური მოწყობილობის ჩათვლით), ხელსაწყოებით, საკაბელო და სხვა ნაკეთობებითა და სპეციალური ინსტრუმენტით.

13. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გამოყონ დადგენილი წესით მიწის ნაკვეთები ქალაქებსა და მუშათა დაბებში მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოსატრანსპორტო საშუალებათა კოოპერაციული გარაჟების და ღია გასაჩერებელი ადგილების მშენებლობისათვის, როგორც წესი, იმ რაიონებში, რომლებსაც აქვთ კეთილმოწყობილი მისასვლელები და გზები, წყალსადენის, კანალიზაციისა და ელექტრომომარაგების ქსელი.

დაწესდეს, რომ კოოპერაციულ გარაჟებთან და სატრანსპორტო საშუალებათა ღია გასაჩერებელ ადგილებთან მისასვლელებისა და საინჟინერო კომუნიკაციების მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაზღვროს სახალხო-სამეურნეო გეგმებით მსუბუქი ავტომობილების სათადარიგო ნაწილების აგრეგატებისა და კვანძების საბაზრო ფონდები იმ მოთხოვნილების ჩათვლით, რასაც მათზე აყენებენ მოქალაქეთა კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საწარმოები.

დაეკისროს სსრ კავშირის სახმომარაგებას მსუბუქი ავტომობილების იმ სათადარიგო ნაწილების, აგრეგატებისა და კვანძების განაწილების გეგმების შემუშავება, რომლებიც საბაზრო ფონდებით გამოიყოფა, აგრეთვე აღნიშნული სათადარიგო ნაწილების, აგრეგატებისა და კვანძების ფონდების განაწილება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის (ნომენკლატურის მიხედვით), რომლებიც განკუთვნილია „ავტოტექმომსახურების“ სპეციალიზებული ორგანიზაციებისათვის.

სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ განაწილებული იმ სათადარიგო ნაწილების, აგრეგატებისა და კვანძების ფონდების რეალიზაცია, რომლებიც განკუთვნილია „ავტოტექმომსახურების“ სპეციალიზებული ორგანიზაციებისათვის, განხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ მეშვეობით.

15. სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სახმომარაგებამ რუსეთის სფსრ „მთავნავთობმომარაგების“ მონაწილეობით შეიმუშაონ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრ-

თა საბჭოებთან შეთანხმებით დაამტკიცონ წესი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს მიეყიდებათ საერთო სარგებლობის ავტოგასაწყობ სადგურებში პირველი საჭიროების სათადარიგო ნაწილები, საავტომობილო მოწყობილობანი და მასალები მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლური ტექნიკისათვის.

საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან და რუსეთის სფსრ „მთავნავთობმომარაგებასთან" ერთად ორი თვის ვადაში დააწესოს იმ სათადარიგო ნაწილების, საავტომობილო მოწყობილობისა და მასალების ასორტიმენტული მინიმუმი, რომლებიც ავტოგასაწყობ სადგურებში უნდა გაიყიდოს.

16. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ გაითვალისწინონ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური გეგმებით საგარაჟო მოწყობილობის შესყიდვა სოციალისტურ ქვეყნებში მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საწარმოებისათვის, აგრეთვე მოწყობილობისა — ავტოგასაწყობი სადგურებისათვის, სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებული ნომენკლატურის მიხედვით.

17. ნება დაერთოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შექმნან მოკავშირე რესპუბლიკების ნავთობგამსაღებელ ორგანიზაციებში ცენტრალიზებული ფონდები მოსახლეობის მომსახურებაზე დასაქმებული ქვესაუწყებო საწარმოების მუშაკთა დასაჯილდოებლად, იმ პირთა წასახალისებლად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მომსახურების ახალ სახეობათა და ფორმების მოწყობასა და დანერგვაში, იმ ამონაგების ერთი პროცენტის რაოდენობით, რაც მიღებული იქნება წვრილად დაფასოებული ნავთობპროდუქტების, ავტომობილებისა და მოტოციკლური ტექნიკის სათადარიგო ნაწილების მოსახლეობისათვის მიყიდვისაგან და მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისაგან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან და რუსეთის სფსრ „მთავნავთობმომარაგებასთან" შეთანხმებით სამი თვის ვადაში დაამტკიცოს ავტოგასაწყობი სადგურების იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების პირობები, რომლებიც მომსახურებას უწევენ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს.

18. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ, 1969 წლიდან დაწყებული, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობა, რათა მომზადებულ იქნან საჭირო რაოდენობის კვალიფიციური მუშები მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საწარმოებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

33 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 21 იანვრის № 24 დადგენილების ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ" ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 21 იანვრის № 24 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1969 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის ფასები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 2 აპრილი, № 181

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 2 აპრილის № 181
დადგენილების დანართი

ფ ა ს ე ბ ი

ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრისა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1969 წლის 1 იანვრიდან

პირუტყვის დასახელება სახეების მიხედვით	ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში (მანეთობით და კაპიკობით)
1. ფური, რომლის საშუალო სადღეღამისო წველადობა არის:	
10-დან 15 კილოგრამამდე	1—50
15 კილოგრამზე მეტი	1—60
უშობელი	1—40
დეკეული	1—25
ფურკამეჩი	1—40
ფურზაქი	1—25
დედა ცხვარი და თხა:	
I — ზონისათვის	1—16
II — ზონისათვის	1—06
III — ზონისათვის	0,92

ხოლო წითელი მეგრულისა და ხევსურული ჯიშის საქონლის ფასები გაუთანაბრდეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის № 70-24-ბ პრეისკურანტით კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხისათვის დადგენილ ფასებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

34 საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების მიმდინარეობის შესახებ

ამონაკრები

ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად, 1969 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 ივნისის № 420, 1965 წლის 31 ივლისის № 472 და 1967 წლის 17 თებერვლის № 93 დადგენილებათა უცილობლივ შესრულება იმ ნაწილში, რომელიც ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის მოწყობას შეეხება.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს — „საქკონსერვხილბოსტანს", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის კომბინატს მოაწყონ ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით ვადებისა და სახეობათა მიხედვით დანართის თანახმად.

3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ:

ა) უზრუნველყოს ტვირთის ცენტრალიზებული შემოტანისა და გატანის მოწყობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 ივლისის № 354 დადგენილებით დაწესებულ ვადაში;

ბ) აიყვანოს ტვირთის გადაზიდვის ცენტრალიზაციის დონე რკინიგზის სადგურებზე, სადაც იგი მოწყობილია 100 პროცენტამდე;

გ) მიმდინარე წლის დამლევამდე მოაწყოს რკინიგზის ძირითად სადგურებში, რომლებიც ცენტრალიზებულ ტვირთზიდვას ახორციელებენ, ბარგის ცენტრალიზებული მიტანა საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით.

4. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს, ტრესტებსა და სამმართველოებს, რომლებსაც მომმარაგებელი ორგანიზაციები ჰყავთ, მოაწყონ 1969 წლის განმავლობაში ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ყველა ბაზიდან.

5. სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც ცენტრალიზებულ ტვირთზიდვას ახორციელებენ:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მოედნების გასაფართოებლად და სასასწორო მეურნეობის ხელახლა გასაწყობად იმ ანგა-

რიშით, რომ გამოყენებულ იქნან დიდი ტვირთამწეობის ავტომობილები და ავტომატარებლები;

ბ) მოაწყონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, აგრეთვე ტვირთის მიღება და გაცემა ორ და სამცვლად;

გ) მიაწოდონ ინფორმაცია ტვირთმიმღებთ მათ სახელზე ცენტრალიზებული წესით გაგზავნილი ტვირთის შესახებ გაგზავნამდე ერთი დღეღამით ადრე მაინც (გარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს თბილისის ლითონბაზისა, სადაც განსაკუთრებული დებულება მოქმედებს);

დ) აწარმოონ ტვირთის დაპაკეტება, დაჯგუფება, მომზადება და სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებების გამოწერა ავტომობილების მოსვლამდე;

ე) დროზე წარუდგინონ საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტს გაშლილი განაცხადები ტვირთის გადაზიდის შესახებ ტვირთის გვარეობისა და გადაზიდვის მიმართულების აღნიშვნით.

6. საქართველოს სსრ ქვანახშირის მრეწველობის კომბინატმა მიიღოს ზომები ტორფის ქარხნების უზრუნველსაყოფად საჭირო მექანიზმებით, უზრუნველყოს შიგასაქარხნო გზების ნორმალურად შენახვა და ავტომანქანების დროულად დატვირთვა, მიაწოდოს ინფორმაცია ტვირთმიმღებთ ტორფის გაგზავნის შესახებ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ავტომანქანების დროულად მიწოდება და ტორფის გადაზიდვის გეგმის შესრულება.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს ტორფის დროზე მიღება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მისასვლელი გზების მდგომარეობას, სადაც ტორფით დატვირთული ავტომანქანები იგზავნება.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა) საჭირო რაოდენობის სატვირთო ავტომობილების გამოყოფა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის განსახორციელებლად. ამასთან მტკიცედ დაიცვას გრაფიკი ავტომობილების მიწოდებისა დატვირთვის პუნქტებში პირველი მგზავრობისას;

ბ) ავტომეურნეობის მიმაგრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოზე, რათა განხორციელდეს ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა მთავარ სამმართველოს საწყობებიდან და ბაზებიდან;

გ) სატვირთო ავტოპარკის შენახვა ნორმალურ ტექნიკურ მდგომარეობაში;

დ) ავტომობილების მაქსიმალურად სარგებლობა, რისთვისაც ყოველნაირად გამოიყენოს მისაბმელები და ნახევარმისაბმელები, გაადიდოს ბორტები და ა. შ.

ე) სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენის გამოყენების მნიშვნელოვანი გადიდება.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს საავტომობილო ტვირთზიდვის გეგმებით განსაზღვრული ლიმიტები ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის შემდგომი განვითარებისათვის.

9. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა სამი თვის ვადაში შეამოწმონ ფაქტები ავტოსატრანსპორტო კანტორების მიერ ჯარიმის გადახდისა ზენორმატიული გაცდენებისათვის, განსაკუთრებით სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებების არასწორად გაფორმებისათვის, მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 10 აპრილი, № 191

35 საქართველოს სსრ ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა იმ ნაკეთობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა ახალი ნიმუშების ტექნიკურ დოკუმენტაციას და საცალო ფასებს ამტკიცებენ აღნიშნული საწარმოების დირექტორები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 აგვისტოს № 628 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტთან და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებული თანდართული ნუსხა ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა ნაკეთობებისა და სუვენირებისა, რომლებისთვისაც ახალი ნიმუშების ტექნიკურ დოკუმენტაციას და საცალო ფასებს ამტკიცებენ ხალხური მხატვრული სარეწესებისა და სუვენირების საწარმოთა დირექტორები, სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

2. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) შეადგინოს პრეისკურანტი „ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა ნაკეთობების საცალო ფასები“ და მიაკუთვნოს მას № 132.

ყველა სამინისტრომ, უწყებამ და ორგანიზაციამ, რომლებიც ამზადებენ ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობებს, წარუდგინონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ამ ნაკეთობათა დამტკიცებული ფასები № 132 პრეისკურანტში შესატანად;

ბ) დაბეჭდოს სტამბური წესით პრეისკურანტი № 132 — „ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა ნაკეთობების საცალო ფასები“ და დაუგზავნოს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას;

გ) დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტთან შეთანხმებით ინსტრუქცია ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა ნაკეთობების ფასების დამტკიცებისა და საპრეისკურანტო წარმოების შესახებ.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა № 132 პრეისკურანტის დაბეჭდვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 22 აპრილი № 210

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 22 აპრილის № 210
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა ნაკეთობებისა, რომელთა ახალი ნიმუშების ტექნიკურ დოკუმენტაციას და საცალო ფასებს ამტკიცებენ აღნიშნული საწარმოების და სუვენირების დირექტორები სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით

1. ნაკეთობანი პაპიე-მაშესაგან, წაკეთობანი დაწნეხილი, დაყალიბებული და ჩამოსხმული მერქან-ნახერხის და პლასტიკური მასებისაგან მინიატურული მხატვრობით.

2. ჩუქურთმიანი სკულპტურული ნაკეთობანი, დეკორაციული გაჩარხული პატარა ფიგურები, „მატრიოშკები", სადურგლო და სახარატო ნაკეთობანი ხისაგან ჩუქურთმით, ინკრუსტაციით, გაპრიალებით, ინტარსიით, ლითონის ნაჭდევით, მოხატულობით, ამოწვითა და სხვა სახის მხატვრული დამუშავებით; მხატვრული ნაკეთობანი კანო-ფესვისაგან, ბზისაგან, კაკლისაგან, ჭადრისა და სხვა ჯიშის ხეებისაგან; ნაკეთობანი არყის ქერქისაგან ჩუქურთმით, ტვიფრულობით და მოხატულობით; მხატვრული ნაკეთობანი დაწნული ვაზისაგან, ლაფნისაგან, ჩალისაგან, ნაფოტისაგან, არყის ქერქისაგან და სხვა მასალებისაგან; ნაკეთობანი ბამბუკისაგან.

3. ნაკეთობანი შავი და ფერადი ლითონებისაგან, შესრულებული მხატვრული ღუნვის, სხმულის, ჭედვის, კვერვის, ჰალვანოპლასეიკის მეთოდით, მოხატულობით და სხვა სახის გამოყვანილობითა და შესრულების ტექნიკით, საიუველირო ნაკეთობანი ფერადი ლითონებისაგან გრავირებით, ფილიგრანით, ტიხრული მინანქრებითა და სხვა სახის მხატვრული დამუშავებით (გარდა ნაკეთობებისა ძვირფასი ლითონებისაგან).

4. ნაკეთობანი ძვლისაგან, რქისაგან, სადაფისებური ნიჟარებისაგან და ორგანული მინისაგან მოცულობითი და ბრტყელრელიეფური მოჩუქურთმებით, გრავირებით, ინკრუსტაციითა და სხვა სახის მხატვრული დამუშავებით.

5. ნაკეთობანი მაგარი და რბილი ჯიშის ქვისაგან (გარდა ძვირფასი ქვებისა) ჩუქურთმით, ინკრუსტაციით, მოზაიკით და სხვა სახის მხატვრული გაფორმებით.

6. მხატვრული კერამიკის ნაკეთობანი ქაშანურისა და ფაიფურისა მოხატულობით, გრავირებით და სხვა სახის დამუშავებით და დეკორაციული გაფორმების გამოყენებით, დეკორაციული ჭურჭელი;

7. მხატვრული კერამიკის ნაკეთობანი თუნისა, მაიოლიკისა, თხელი ქვისა, ტერაკოტისა მოხატულობით, გრავირებით და სხვა სახის დამუშავებითა და გაფორმებით, დეკორაციული ჭურჭელი.

8. მინის ნაკეთობანი მოხატულობით, გრავირებით და სხვა სახის მხატვრული დამუშავებით და გაფორმებით, სკულპტურული ნაკეთობანი და დეკორაციული ჭურჭელი მინისაგან.

9. ნაკეთობანი ტყავისა, ბეწვეულისა და ბუმბულისაგან აპლიკაციით, ტვიფვრით, ამოქარგვით, მოხატულობით და სხვა სახის მხატვრული დამუშავებით (გარდა საქაღალდეებისა, საფულეებისა, ქისებისა და პორტმონეებისა).

10. ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი ხელით ნაკეთები — ხალიჩები, საფენები, ფარდაგები, ხურჯინები, მაფრაშები და ხალიჩის სხვა ნაკეთობანი — ხელით ნამუშევარი.

11. მხატვრული ხელით მქსოველობის ნაკეთობანი:

მხატვრული ნაკეთობანი ხელითა და კომბინირებულად (ხელითა და მანქანით) ამოქარგული და დაგვირისტებული;

არშიები და არშიის ნაკეთობანი ხელითა და კომბინირებულად (ხელითა და მანქანით) დაწნული;

12. ნაკეთობანი ქსოვილებისაგან მხატვრული მოხატულობით.

13. ხელით ნაქსოვი სახიანი მხატვრული ნაკეთობანი.

14. ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტები ხელით ნაკეთები.

15. ეროვნული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და თავსამკაული ხელითა და მანქანით ნაკეთები მხატვრულად გაფორმებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

36 მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასების და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, ცეკავშირთან და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან შეთანხმებული დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის მარტში ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები და წინათ შექმნილი კომისიების რწმუნებათა ვადა უკვე გავიდა, დაევალოთ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ორი კვირის ვადაში შექმნან აღმასკომებთან, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ნოემბრის № 673 და 1968 წლის 19 იანვრის № 34 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 24 აპრილი, № 215

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 24 აპრილის № 215
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლისათვის შეიქმნება კომისიები მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ყველა აღმასრულებელ კომიტეტთან, სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციებთან (გარდა რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციებისა), მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან

შენიშვნა:

ა) იმ საქალაქო აღმასკომებთან, რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ, კომისიები არ შეიქმნება;

ბ) კომისიები შეიქმნება, როგორც წესი, ყველა მაღაზიასთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან. მაღაზიების მცირე ფილიალებსა და ფარდულებში საზოგადოებრივ კონტროლს განახორციელებენ მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული კომისიები.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები წარმოადგენენ საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის ერთიან რგოლებს, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის საზოგადოებრივი კონტროლი ქალაქის, რაიონის მასშტაბით და იმ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, რომლებთანაც ისინი არიან მოწყობილი.

3. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების წევრთა შემადგენლობასა და რაოდენობას დაამტკიცებს თავის სხდომაზე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი მის რწმუნებათა ვადით:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან კომისიები შეიქმნება საბჭოს დეპუტატების, ორგანიზაციათა, საწარმოთა, დაწესებულებათა, წარმომადგენლების რიცხვიდან შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე (აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ან აღმასკომის

წევრი), თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს ამ კომისიის შემქმნელი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ არანაკლებ 5 კაცისა;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან კომისიები შეიქმნება დეპუტატებისაგან, სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, აგრეთვე საზოგადოებრიობის (მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მახლობლად მდებარე სახლებში მცხოვრებ მყიდველთა რიცხვიდან) წარმომადგენლებისაგან 3-5 კაცის რაოდენობით.

სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ ის პირები, რომლებიც ნათესაურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან სავაჭრო ორგანიზაციის, მაღაზიის და საზოგადოებრივი კვების საწარმოს მუშაკებთან.

4. ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები თავიანთი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ:

ა) აღმასკომთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისია — მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს;

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან შექმნილი კომისიები — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კომისიებს და იმ აღმასკომებს, რომლებმაც კომისიის შემადგენლობა დაამტკიცეს.

5. აღმასკომთან, სავაჭრო ორგანიზაციასთან, მაღაზიასთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოსთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისია თავის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებინებს ადგილობრივ აქტივს მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის, დიასახლისთა და პენსიონერთა რიცხვიდან.

ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის რაიონული (საქალაქო) კომისიების წევრებს მიეცემათ მოწმობები, რომლებსაც ხელს მოაწერს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

6. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები:

ა) მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ვაჭრობის მუდმივ კომისიასთან და სახალხო კონტროლის შესაბამის კომიტეტთან მჭიდრო კონტაქტში და ათანხმებენ მასთან თავიანთ მუშაობას;

ბ) ათანხმებენ იმ კომისიების მუშაობას, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებენ რაიონში (ქალაქში).

7. სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან უზრუნველყონ საჭირო პირობები კომისიების წარმატებითი მუშაობისათვის, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი მათს ინიციატივას, რაც მიმართული იქნება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისაკენ.

8. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების მუშაობის მეთოდურ ხელმძღვანელობას განახორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტი.

II. ამოცანები

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიების ძირითადი ამოცანაა განახორციელონ იმისადმი მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი, თუ როგორ იცავენ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციები და საწარმოები სამრეწველო და სასურსათო საქონლის დაწესებულ საცალო ფასებს და საბჭოთა ვაჭრობის წესებს.

ამ მიზნით ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები შეამოწმებენ და მუდმივ კონტროლს გაუწევენ იმას:

ა) იცავენ თუ არა საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციები და საზოგადოებრივი კვების საწარმოები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დაწესებულ ფასებს და ფასნამატს (ფასდაკლებას);

ბ) არსებობს თუ არა ფასების იარლიყები (საფასარები) მაღაზიების დახლებსა და ვიტრინებში გამოფენილ საქონლის ნიმუშებზე და რამდენად სწორია მათზე აღნიშნული საცალო ფასები;

გ) აღნიშნულია თუ არა საცალო ფასები სახალხო მოხმარების გასაყიდ საქონელზე, საიმპორტო საქონლის ჩათვლით;

დ) სრული წონითა და ზომით ეძლევა თუ არა საქონელი მომხმარებლებს;

ე) რა მდგომარეობაშია საზომ-საწონი ხელსაწყოები, დოზატორები და დასაფასებელი ხელსაწყოები;

ვ) დაცულია თუ არა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში პროდუქტების გაანგარიშების დაწესებული ნორმები (პროდუქტების ჩადება კერძებში) და მზა კერძების გამოსავლიანობის ნორმები;

ზ) დაცულია თუ არა კერძების ასორტიმენტი, რამდენად მრავალფეროვანია მენიუ და საბუფეტო პროდუქცია, მოიპოვება თუ არა დასარიგებელი საზომი ჭურჭელი;

თ) დაცულია თუ არა ვაჭრობის კულტურა, აგრეთვე სანიტარული წესები სასურსათო საქონლის მიტანის, შენახვისა და დამუშავების დროს;

ი) მოიპოვება თუ არა ვაჭრობის საწარმოებში საჩივრებისა და წინადადებათა წიგნები და საკონტროლო ჟურნალები, რა მდგომარეობაშია მშრომელთა საჩივრებისა და წინადადებების განხილვა და რამდენად ეფექტიანია მათ ეამო მიღებული ზომები.

10. კომისიები ეწევიან ახსნა-განმარტებითს მუშაობას და ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს მყიდველთა და დახლის მუშაკთა შორის, ცდილობენ შექმნან ნამდვილი კულტურული საბჭოთა ვაჭრობის პირობები სავაჭრო ორგანი-

ზაციაში, მაღაზიაში, სასადილოში, რესტორანში, აღზარდონ ვაჭრობის დარგის მუშაკები ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების ყოველგვარი დარღვევისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

III. კომისიების მუშაობის ორგანიზაცია

11. კომისიები თავიანთ მუშაობას აწყობენ შემდეგნაირად:

ა) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები:

— დაამტკიცებენ კომისიების მუშაობის წლიურ და კვარტალურ გეგმებს;

— მოიწვევენ კომისიების სხდომებს საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც და ყველა საკითხს კომისიის სხდომაზე გადაწყვეტენ ხმის უბრალო უმეტესობით. კომისიის გადაწყვეტილება კანონიერია, თუ მის სხდომას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

კომისია თავის მუშაობას ეწევა როგორც უშუალოდ, ისე სახელმწიფო ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან შექმნილი შესაბამისი კომისიების მეშვეობით, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა და საწარმოთა სადუქნო და საკონტროლო-სარევიზიო კომისიების მეშვეობით;

— სისტემატურად მოისმენენ სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აგრეთვე სავაჭრო საწარმოებთან არსებული კომისიების თავმჯდომარეების მოხსენებებს ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობის საკითხებზე;

— შეიმუშავებენ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ვაჭრობის კულტურის გაუმჯობესებას და ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის ლიკვიდაციას და განსახილველად წარუდგენენ აღმასრულებელ კომიტეტს.

ბ) სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიები:

— თავიანთი შემადგენლობიდან გამოყოფენ კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს და კომისიის წევრებს შორის გაანაწილებენ მოვალეობას;

— გამოაკრავენ მაღაზიაში, სასადილოებსა და რესტორნებში კომისიების წევრთა სიებს, ამასთან აღნიშნავენ მათ მისამართსა და ტელეფონის ნომრებს მყიდველთა საყურადღებოდ, სისტემატურ კონტროლს გაუწევენ საცალო ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვას ამ მაღაზიაში, სასადილოებსა და რესტორნებში;

— სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებული კომისიების წევრების სხდომას მოიწვევს კომისიის თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. კომისია აწარმოებს თავისი სხდომების ოქმს.

12. აღმასკომთან არსებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის კომისიას უფლება აქვს:

ა) საჭირო შემთხვევებში შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად მასალები სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დაწესებული ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის შემოწმების შედეგების შესახებ;

ბ) გაეცნოს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სხვა დოკუმენტებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის ფუნქციების შესასრულებლად;

გ) მიიღოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან საჭირო დოკუმენტები და განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმ მუშაობასთან, რასაც კომისია ეწევა ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის შემოწმებისათვის;

დ) მოისმინოს კომისიის სხდომაზე სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ინფორმაცია კომისიის გამგებლობაში შემავალ საკითხებზე;

ე) შეიტანოს დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანოების განსახილველად წინადადებანი, რომ პასუხისგებაში მისცენ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ფასების დარღვევის, მყიდველთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების და სხვა ბოროტმოქმედებათა ჩადენის შემთხვევებში;

ვ) ვაჭრობის იმ მუშაკთა მიმართ აღძრული საქმეები, რომლებმაც დაუშვეს წესების დარღვევა ან ჩაიდინეს ბოროტმოქმედება, გადასცეს ამხანაგურ სასამართლოებს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ადმინისტრაციულ კომისიას დადგენილი ფასებისა და ვაჭრობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დასადებად, თუ ეს დარღვევა არ შეიცავს ისეთ მოქმედებათა ნიშნებს, რომლებიც სისხლის სამართლის წესით ისჯება;

ზ) საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

13. სავაჭრო ორგანიზაციებთან, მაღაზიებთან და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან არსებულ კომისიებს უფლება აქვთ:

ა) გაეცნონ სავაჭრო ორგანიზაციაში, მაღაზიასა და საზოგადოებრივი კვების საწარმოში ინსტრუქციებს, ბრძანებებს, სხვა საბუთებსა და მასალებს, რომლებიც კომისიას სჭირდება ფასებისა და ვაჭრობის წესების დაცვის კონტროლის ფუნქციების შესასრულებლად, მიიღოს იმ სავაჭრო ორგანიზაციისა და სავაჭრო საწარმოს ხელმძღვანელებისა და სხვა მუშაკებისაგან, რომლებსაც კონტროლს უწევენ, საჭირო დოკუმენტები და განმარტებანი, რაც დაკავშირებულია კომისიის მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან;

ბ) მოხსნას გაყიდვიდან გადასაფასებელი საქონელი, დააყენოს სავაჭრო ორგანიზაციის, მაღაზიისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოს ხელმძღვანე-

ლის წინაშე საკითხი უწესივრო ან დაუდამღავი სასწორებისა და საზომი ხელსაწყოების ამოღების შესახებ;

გ) მოისმინოს კომისიის სხდომაზე კონტროლგასაწევი სავაჭრო ორგანიზაციებისა და სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი კომისიის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

დ) მოიწვიოს სავაჭრო ორგანიზაციის და მაღაზიის სპეციალისტები კონსულტაციისათვის;

ე) შეიტანოს სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის განსახილველად წინადადებანი იმის შესახებ, რომ სასჯელი დაედოთ ან პასუხისგებაში იქნან მიცემული საწარმოების მუშაკები, რომლებიც არ იღებენ ზომებს ფასების დარღვევის, მყიდველთა ანგარიშში მოტყუებისა და სხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ;

ვ) ფასებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის საქმეში აღმოჩენილი ყოველგვარი დარღვევები სისტემატურად მოახსენოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კომისიას.

---

37 ქ. სოხუმში თვითნებურ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები

განიხილა რა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმ თვითნებურ ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წლებში ქ. სოხუმში, და იღებს რა მხედველობაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 იანვრის № 40 დადგენილებით აკრძალულია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 იანვრის № 23 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. უფლება მიენიჭოს სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ნება დართოს თვითნებურ მენაშენეებს ყოველ ცალკე შემთხვევაში აწარმოონ საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ-აღდგენითი რემონტი არსებულ გაბარიტებში, სამზარეულოებისა და სანკვანძების მოწყობა (მიშენება) იმ ვარაუდით, რომ აუცილებლად იქნას დაცული სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები.

სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამ საკითხების გადაწყვეტისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 18 იანვრის № 39 დადგენილებით და კვლავ განუმარტოს მოქალაქეებს, რომლებმაც თვითნებურად აიშენეს სახლები:

— რომ მათ შეუძლიათ იცხოვრონ ამ შენობებში მანამ, ვიდრე არ წამოიჭრება აუცილებლობა იმ ნაკვეთების ჩამორთმევისა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, რომლებზედაც მათ ააშენეს აღნიშნული ნაგებობანი;

— რომ მათ უფლება არა აქვთ განასხვისონ რაიმე ფორმით აღნიშნული შენობები;

— რომ მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას, ამ ნაკვეთებზე არსებული თვითნებურად აშენებული ნაგებობანი და ხილკენკრის ნარგავები არ ანაზღაურდება.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეისწავლონ საკითხი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია გამოიყოს ქ. სოხუმის ხაზის მიღმა და შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ფარგლებს გარეთ მიწის ნაკვეთები იმ თვითნებურ მენაშენეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის, რომელთა სახლები იმყოფებიან ავარიულ მდგომარეობაში ან მეტისმეტად დაძველდა და მათი აღდგენა შეუძლებელია ქალაქმშენებლობის მოსაზრებებით.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიიღონ გადამწყვეტი ზომები თვითნებური მშენებლობის შემთხვევების დროულად აღკვეთისათვის და დაუყოვნებლივ აცნობონ საგამომძიებლო ორგანოებს იმ პირთა ვინაობა, რომლებიც თვითნებურად აშენებენ სახლებს, მათ მისაცემად პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 29 აპრილი, № 239.

38 მგზავრთა ცალკეული კატეგორიებისათვის საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით მგზავრობის შეღავათების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1969 წლის 1 ნოემბრიდან ინვალიდებისათვის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან და მგზავრთა ზოგიერთი სხვა კატეგორიისათვის, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დანართში, საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით მგზავრობის სეზონური სატარიფო შეღავათები 1 ნოემბრიდან 1 მაისამდე (ყოველწლიურად) მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დააწესოს, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეღავათიანი ბილეთების გაცემის წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 22 აპრილი, № 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 22 აპრილის № 242
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

მგზავრთა ცალკეული კატეგორიებისა, რომლებსაც დაუწესდათ სეზონური სატარიფო შეღავათები საქალაქთაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით მგზავრობისას

სამოქალაქო ომის ინვალიდები და პირველი მსოფლიო ომის ინვალიდები.

ის პირები, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებსა და ორგანოებში სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან ხეიბრობის გამო, აგრეთვე ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული ავადმყოფობის გამო.

ის პირები, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ზოგადი დაავადების ან უბედური შემთხვევის გამო, რაც მათ შეემთხვათ სამხედრო სამსახურის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებსა და ორგანოებში სამსახურის გავლის დროს და რაც არ ყოფილა დაკავშირებული სსრ კავშირის დაცვის ვალდებულებათა ან სამსახურის სხვა ვალდებულებათა შესრულებასთან.

შრომის არამომუშავე ინვალიდები, პირველი და მეორე ჯგუფისა,

ბავშვობიდან ინვალიდები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო პენსიას ან ყოველთვიურ დახმარებას.

ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ ღრმა მოხუცთა და ინვალიდთა (მათ შორის ინვალიდ ბავშვთა) სახლებში და იმყოფებიან სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე.

ის პირები, რომლებიც თან ახლავან მგზავრობაში პირველი ჯგუფის ინვალიდებს (არაუმეტეს ერთი თანმხლებისა თვითეულ ინვალიდზე).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1969 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16, ქაღალდი 4.300 ფ.
ნაბეჭდი თაბახი 3,5, სააღრიცხვო თაბახი 3.

თარგმნილია რუსულიდან.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2450 შეკვეთა № 598

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

6129/130

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდეკსი — 76187